ხუთშაბათი, 1 მარტი 1907 წ.

წელიწადი პირველი.—№ 46

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. [illegible] დიდი წერილები და მოთხრობები [illegible] პასუხისთვის საჭირო-საფოსტო მარკები. [illegible] მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

**მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.**

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ი ს ა რ ი**

**გაზეთი ღირს:**

| ერთის წლით: | | ნახევარის წლით: | | ერთის თვით: | |
|---|---|---|---|---|---|
| ტფილისში | 6 მ. 50 კ. | ტფილისში | 4 მ. — კ. | ტფილისში | — მ. 75 კ. |
| ტფილისს გარედ | 7 „ — „ | ტფილისს გარედ | 4 „ 50 „ | ტფილისს გარედ | — „ 80 „ |
| საზღვარ-გარედ | 12 „ — „ | საზღვარ-გარედ | 6 „ — „ | საზღვარ-გარედ | 1 „ 50 „ |

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**ხელის მოწერა შეიძლება:**
**ტფილისში:** 1. «ისრის» რედაქციაში (ელისაბედის ქ., № 1, მილოვის სახლი). 2. «ქ. შ. წ. გ.-კ საზოგ.» წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სასახლის ქ.). **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან («კოლხიდის» ამხანაგობაში). **ბათუმში**—ხომერიკთან, ჭოროხში. **ყვირილაში**—პლ. ლეჟავასთან. **თელავში**—ივ. პაპაშვილთან. **ჭიათურაში:** სოფრომ ტარიელოვთან, ჭიათურის კანკში. **ზაქოში:** გიორგი ჩხეიძესთან (ჭინჭარაძის და ჩხეიძის მაღაზიაში).
ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція газ. «ИСАРИ».**

**ეფემია კონსტანტინეს ასული** შვილებით და **ირაკლი ესტატეს ძე ფურცელაძეი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—მეუღლისა, ხოლო მეორე—ძმის

## იოსებ ესტატეს ძე ფურცელაძისას.

მიცვალებულს გამოასვენებენ ხუთშაბათს, 1 მარტს, დილის $3^1/_2$ საათზედ (პანასკევის ქუჩა, სახლი № 30.) წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ჩუღურეთში. დაკრძალვა იქნება კუკიის წმ ნინოს ეკლესიის სასაფლაოზედ. (1—568—1)

**ანტონ, თებრონე, ბარბარე, ქვრივი დესპინე მეძმარიაშვილისა, ოლიმპიადა კანდელაკისა, ვერა, აპოლონა რია და დომინიკა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი სამი—უსაყვარლესის ძმისა, მეოთხე—მაზლისა, დანარჩენნი—ბიძის

## ივლიანე მეძმარიაშვილისას.

დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 4 მარტს 4 საათზე, სოფ. ქვიტირს, მაცხოვრის ეკლესიაზე (1—კვ.—1)

**ალექსანდრე გიორგის ძე კულუმბეგოვი და ივანე დავითის ძე ონიკიძე** მშობლებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—ძვირფასის მეუღლის, მეორე—საყვარელ დის და მესამე—მანუგეშებელ და პატივცემულ შვილის

## ელისაბედ დავითის ასულისა

გასვენება დღეს, ხუთშაბათს, 1 მარტს, წმ. ნიკოლოზის საყდარში (ჩუღურეთში) დაკრძალვა, პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ. სახლი—იაქლის ქუჩა, № 29. (2—564—2)

**ხუთშაბათს, 1 მარტს 1907 წელს**

საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში

**ავადმყოფ არტისტის ვალერიან გუნიას სასარგებლოდ** გაიმართება

## საინტერესო საღამო

**ლიტერატურისა და მუსიკისა,**

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: **გამოჩენილი მომღერალი ქალი ვანბრანდტი** და აგრეთვე **საუკეთესო არტისტები**—რუსულის ოპერიდან, დრამიდან, ქართული და სომხური მსახიობნი და სხვანი.

**ქართული ხორო.** **ლოტო.** მოსაგებად გადადებულია ძვირფასი ოქრო და ვერცხლის ნივთები.
დასასრულ

**დაწვრილებითი ცნობები პროგრამებში იქნება გამოცხადებული.**

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

საღამოს დიასახლისობა იკისრა—კნ. ელისაბედ ირაკლის ასულმა ჯამბაკურიან-ორბელიანისამ. მისი თანაშეწენი: თავ. ნიკ. ერისთავი და მიხეილ ჯაბარი.

!!!მიაქციეთ ყურადღება!!!

## სვირულ ღვინის მომხმარებელთა საყურადღებოდ

სვირულმა ღვინოებმა ღირსეულად მოიხვეჭეს დამსახურებული ქება და სახელი მცნობელ მომხმარებელთაგან. საქმის გაფართოვების და უკეთესად მოწყობის სურვილმა უნებურად ამიძულეს დროებით შემეჩერებინა საქმის წარმოება.

ახლა, მივიღე რა საუკეთესო **„სვირის ღვინოები“**, მაქვს პატივი ვაუწყო სვირულ ღვინოების მომხმარებელთ, რომ 23 თებერვლიდან განვაახლე ღვინით ვაჭრობა. ღვინოები დააკმაყოფილებს უფაქიზესის გემოვნების მომხმარებლებს.

ღვინო იყიდება საუკეთესო გასტრონომიულს მაღაზიებში და პირველ ხარისხოვან რესტორანებში.

**ს ა წ ყ ო ბ ი:** ანდრეევის ქუჩა, № 92, საკუთარი სახლი.

პატივისცემით **ვასილ ალექსის ძე ხომასურიძე.**

(6—553—4)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ი მ ოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 11—1 ს. და საღ. 4—6. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—732—16)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, აკ, სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—56)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა
**ტფილისში**
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).
მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა
**მიხეილ ბაგრატიონი:** 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.
**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს., ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.
**გ. ა. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.
**ი. გ. ავეტისოვი:** 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.
**მ. პ. კიმონგი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.
**ბ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.
**ი. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა.
სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—34)

## ვერის სამკურნალო

სპეციალისტ ექიმებისა.
ოლღას ქუჩა № 35.
ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე.
**ექ. შახნუდაგოვი**—ნერვებისა და საელექტრო. წამლობა და ჰიპნოზი. 9—10 ს.
**ექ. მელიქ-ეინათოვი**—ვენერიული, კანისა და საშარდე $9^1/_2$—11 ს.
**ექ. რამენდიკი**—შინაგანი $10^1/_2$—$11^1/_2$ ს.
**ექ. ზაგრეევსკი**—ქალისა და საბებიო 11—12 საათამდე.
**ექ. ქალანთაროვი**—თვალისა 1—2 ს.
**ექ. კილოსანიძე**—ქირურგიული 12—1 ს.
**ექ. მარცინკევიჩი**—ბავშვისა 12—1 ს.
**ექ. შტრეიხერი**—ყელისა, ყურისა და ცხვირისა 1—2 ს.
**ექ. გამბურგერი**—ქიმ. მიკრ. და ბაქტ. გამოკვლევა შარდისა, სისხლისა, ნახველისა და სხვ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.
**სამკურნალოში შეიძლება მახხავი.** (100—99)

ექიმი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლღას ქუჩა, № 25. (0—47)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს.. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი
**ი. ზ. კანდელაკი**
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, წამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, სახლი აბულაძისა, № 26. (25—ნ.—19)

**ლაკტო-ბაცილიანი რძე**
მზადდება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროვიზორ

## ა. ს. კლემანსკის

ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში
ვორონცოვის მეგლის პირდაპირ.
ტელეფონი № 389. (100—51—83)

**სპეციალური მომზადება შესასვლელ ეგზამენებისთვის** აგვისტოს თვეში:
1. **რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლებში;**
2. **კადეტთა კორპუსებში;**
3. **საშუალო სასწავლებლებში;**
4. **საიუნკრო და სამხედრო სასწავლებლებში.**
ქალაქ-გარედ მცხოვრებთ ცნობები გაეგზავნებათ ორ შვიდ კაპიკიან მარკის მიღებისათანავე.

**სამხედრო მოსამზადებელი**

## კურსები

ადრესი: ტფილისი, პეტერბურგის ქუჩა, № 11.
Тифлисъ, Петербургская, № 11.
(10—ნ.—1)

**ქსნის** მოაგარაკეთა ამხანაგობის გამგეობა სთხოვს ყველა თავის ამხანაგებს, დაიჩქარონ ამხანაგობის პირობაზე ხელის მოწერა (ტფილისში, ერევნის მოედანზე) ნოტარიუს **მღებროვთან** (10—3 საათამდე) იქვე წაიკითხეთ გამგეობის მოხსენებანი. (2—565—1)

ტფილისი, 1 მარტი

სათათბიროს გახსნისათანავე პოლიტიკურ ცხოვრებას თვალსაჩინო განცხოველება ეტყობა. მართალია, პოლიტიკური ორგანიზაციები ისე ფარულად მოქმედობენ, ისევ იძულებულნი არიან თავის მოქმედებას იდუმალების ზეწარი გადააფარონ, მაგრამ განცხოველებული პოლიტიკური აზრი და გრძნობა უკვე ბნელეთს არღვევს და სინათლეზე გამოდის. ეს აუცილებელი შედეგია სათათბიროს გახსნისა. დიდი უმრავლესობა სათათბიროს წევრებისა იმ უკიდურეს მემარცხენე პარტიებს ეკუთვნიან, რომელთაც მთავრობა აქამომდე კანონის გარეშე აყენებს და სდევნის. ეს მემარცხენე დეპუტატები თავის საპარლამენტო მოქმედებას დევნილ პარტიებს უქვემდებარებენ. კანონმდებელნი კანონის მიერ ათვალწინებულ ორგანიზაციების ხელმძღვანელობას აღიარებენ. ეს ერთ-ერთი უკუღმართებაა რუსეთის ეხლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობისა, ოფიციალურ და არა ოფიციალურ რუსეთის შუა არსებულ წინააღმდეგობისა. ცხოვრება ამ უკუღმართობას თანდათან ასწორებს და კანონის გარეშე დაყენებულს ორგანიზაციებს დღითი-დღე უფრო და უფრო ცხადათ გამოაქვთ თავისი მოქმედება მთელი რუსეთის წინაშე.

ასეთი მნიშვნელობა აქვს, სხვათა შორის იმ გადაწყვეტილების გამოქვეყნებას, რომელიც სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიულს კრებას მიუღია სათათბიროში მოქმედების შესახებ. ამ დევნილს და კანონის წინააღმდეგ არსებულს პარტიას სათათბიროში 34 წევრი ჰყავს უმთავრესი ინტერესი ს.რ. პარტიულს კრებაზე სწორედ იმ საკითხს გამოუწვევია, თუ რა ტაქტიკას უნდა დაადგეს ამ პარტიის საპარლამენტო ფრაქცია. მთავარი აზრი ს. რ საპარლამენტო ტაქტიკისა შემდეგის სიტყვებით არის გამოთქმული: «ძირითადი თვისება სათათბიროს ტაქტიკისა ერთნაირად დაშორებული უნდა იყოს როგორც იმ მეცადინეობისაგან, რომ უსათუოდ, თუნდ კომპრომისების საშუალებით, დაფარულ იქმნას სათათბირო დათხოვნისაგან, აგრეთვე იმ მეცადინეობისაგან, რომ გამოწვეულ იქმნას გარეგანი, არა არსებითი და ხალხის ფართო წრეებისთვის გაუგებარი კონფლიქტი».

თუმცა ფორმალურად აქ მხოლოდ ტაქტიკის უარყოფითი ნიშნებია აღნიშნული, მაგრამ ეს უარყოფა თავის თავად იგულისხმებს განსაზღვრულს დადებითს მხარეს. არც კონფლიქტების შიში და არც კონფლიქტების გამოწვევა. ეს პრინციპი იგულისხმებს, რომ ს. რ. პარტიის შეხედულებით მთავარი მარღვი რუსეთის პოლიტიკურის და სოციალურის აღორძინებისა თვით ხალხია და არა მთავრობა, თუნდაც ამ უკანასკნელმა ლიბერალობა დაიწყოს. ამიტომ სათათბირომ თავისი მეცადინეობა ხალხის ორგანიზაციისაკენ უნდა მიმართოს და არა მთავრობისკენ. ვიდრე ხალხის ძლიერება ორგანიზაციონულად არ არის მოგროვილი ერთად, სათათბირო უძლური იქნება, მაგრამ იგი ჭეშმარიტად მრისხანე ძალა იქნება, როცა იმის გარეშემო ხალხი მოიკრიფება. მაშინ სათათბიროს ყოველი გადაწყვეტილება ნამდვილი ულტიმატუმი იქნება, რომლის საფუძველსაც რეალური ძალა შეადგენს და არა მომხიბლავი, მაგრამ ფუჭი ფრაზები.

თანახმად ამ პრინციპებისა, ს. რ. პარტია საჭიროდ სთვლის რომ იმისი წევრები სათათბიროში ყოვლის უწინარეს და ყველაზე მეტად ხალხის სათათბიროსთან დაახლოვებაზე ზრუნავდნენ. რა ფორმებში იქნება შესაძლებელი ამ დირექტივის განხორციელება, ეს დამოკიდებულია მრავალის წვრილმანისაგან, რომლებიც თვით სათათბიროს მოქმედების დროს გამოირკვევიან. ეხლა-კი შესაძლებელია აღნიშნულ იქმნას მხოლოდ ზოგიერთი ფორმა ასეთის მოღვაწეობისა. ს. რ. პარტიული კრება ამ აზრით ამბობს თავის რეზოლიუციაში: «სათათბიროში ს. რ—ბი ხალხის უმთავრეს საჭიროებათა დაკმაყოფილების მომხრედ უნდა გამოვიდნენ: ყოვლის უწინარეს მუშების და გლეხების საჭიროებათა მომხრედ. ამასთან გადაშლილ უნდა იქმნას პარტიულ პროგრამის არსებითი მუხლები; ფარდა უნდა აეხადოს მთავრობის უკანონო საქციელებს ხალხის შესახებ». შემდეგ, რეზოლიუცია სცნობს, სხვა და სხვა საპარლამენტო კომისიების დაარსებით და ამ კომისიათა მოქმედების გადატანით პროვინციაში დაახლოვებულ იქმნას სათათბიროსთან ხალხი.

ყველა მემარცხენე პარტიები და მემარცხენე დეპუტატები ს. რ-ებთან ერთად პირდაპირ აღიარებენ, რომ სათათბიროს ძალა ხალხთან კავშირია. რუსეთის ბიუროკრატიული მთავრობა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ სწორედ იმიტომ უარჰყო, რომ იგი ხალხთან არ იყო დაკავშირებული და არც შეიძლება ყოფილიყო, თუმცა ამ კავშირის მნიშვნელობა ფონპლევესაც კი ესმოდა. სათათბირო მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიქცევა განმათავისუფლებელ მოძრაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო მარღვად, თუ ხალხთან დაახლოვება და დაკავშირება მოახერხა ს.რ-ების პარტიამ სრულის სიმართლით აღნიშნა პარტიულ კრების რეზოლიუციაში სათათბიროს მნიშვნელობა და იმისი როლი მოძრაობისთვის. ეხლა სათათბიროს წევრებზეა დამოკიდებული იმის განხორციელება, რაც ყველა გულწრფელს დემოკრატს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია.

## ჩვენი დღიური.

სათათბირო გაიხსნა... და რაღაც გაუგებარის მიზეზისა გამო მისმა პირველმა დღემ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა მთავრობის სფერებში. სტოლიპინის გაზეთმა მილოცვა უძღვნა დეპუტატებს: ყოჩაღ, რომ აგრეთი ზომიერები ხართ, ანგარიშს უწევთ ძალას და მოწადინებულნი ხართ, თანხმობით იმოქმედოთ მთავრობასთან ერთადაო. მემარჯვენენი და უკიდურესი მემარცხენენი, სხვა და სხვა ჯიშის შავრაზმელები სიხარულით აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ მიტროპოლიტმა ანტონმა ქკვიანური დარიგება მისცა დეპუტატებს, სტოლიპინი და კოკოვცევი ხელზე ემთხვიენ ეპისკოპოზს პლატონს (რეაქციის ერთს ბურჯთაგანს) და ხელმწიფის დღეგრძელობა იქმნა წარმოთქმული საერო ჰიმნით, რაიც არ მომხდარა პირველ სათათბიროში. ამასთანავე მთავრობის დეპეშათა სააგენტომ ისიც გვაუწყა, რომ უცხოეთის გაზეთებმაც კი კარგად მოიხსენიეს მეორე სათათბიროს თავდაჭერილობა და ზომიერებაო. რაღაც იმავე გაუგებარის მიზეზისა გამო თვითმპყრობელობის მოსამსახურენი უყურადღებოთ სტოვებენ ერთს ინციდენტს, რომელიც მოხდა სათათბიროს გახსნის დროს: როცა მემარჯვენე დეპუტატმა დაიძახა: დღეგრძელი იყოს ხელმწიფე იმპერატორიო, და გაისმა „ურას“ ძახილი, კადეტები და სხვა მემარცხენე დეპუტატები უძრავად იყვნენ და ხმა არ ამოუღიათ.

ეს გარემოება ვითომ შეუმჩნეველი დარჩა და ეს „შეუმჩნევლობა“ მეტად დამახასიათებელია მთავრობის პოლიტიკისა: მთავრობა მშვიდობიან გზას ადგია და სურს სათათბიროსთან მორიგება. როგორ, რა პირობით უნდა მორიგება,—ეს სულ სხვა საკითხია. ამნაირი პოლიტიკა იძულებულია, რასაკვირველია, თორემ კეთილის სურვილით მთავრობა არავითარ მორიგებაზე არ დაიწყებს ლაპარაკს. მაგრამ ამ პოლიტიკის წარმოშობას ხელი შეუწყო თითონ მეორე სათათბიროს დეპუტატების ტენდენციამ. გარდა უკიდურეს რევოლიუციონერებისა, დღეს თითქმის ყველა პარტიები იმას ამბობენ, რომ საჭიროა „გრძნობათა შეკავება“, საჭიროა, „სიფრთხილე“, „ზომიერი ენა“, ზომიერი მოთხოვნილება, კანონმდებლობაო. მთავრობის მოსარიგებელი პოლიტიკა თითქოს წინ ეგებება პარტიების „დამშვიდებულს და ზომიერს პოლიტიკას“.

რევოლიუციონური სული მიყუჩდა, რევოლიუციის ძალა თითქოს გაჰქრა და თითონ სათათბიროც დღეს სრულიად შეუფერებელი მოვლენაა, სათათბირო სრულებით არ შეეფერება იმ ამბებს, რომლებიც ყოველ საათში ხდება ჩვენს გარშემო, სრული შეუთანხმლობა და დისჰარმონია არსებობს სათათბიროსა და არსებულ წესწყობილებას შორის. შარშან თუ ცოტა იყო სათათბირო, დღეს იგი ბევრია, მეტია,.. ასე გამოიცვალა გა-

რეშოება, გამოიცვალა გარეგნულად მაინც და ამით დაიმედებული მთავრობა, როგორც გამარჯვებული, როგორც ძალით შემოსილი, მორიგებას აპირებს ხალხთან. ამ გარეგნობის ილუზიის გავლენის ქვეშ იმყოფებიან სათათბიროს ოპოზიციონური დეპუტატები და იმათაც ებადებათ სურვილი მშვიდობიანობისა და „საქმიანობისა“.

მაგრამ ცოტა ღრმად თუ ჩავხედავთ დღევანდელ მდგომარეობას, ყოველ ეჭვს გარეშე იქნება ჩვენთვის, რომ რაიმე მორიგება დღევანდელ მთავრობასა და ხალხს შორის დღეს მარტო ერთი ილუზიაა! რა მორიგება შეიძლება იმ მთავრობასთან, რომელიც სათათბიროში მშვიდობიანობას ჰქადაგებს და ამავე დროს მთელი რუსეთი სამარ ბანაკად გაუხდია? როგორ მოურიგდებიან დეპუტატები იმას, რომლის არსებობა დამკვიდრებულია სამხედრო-საველე სასამართლოებსა და სულის შემხუთავ საგანგებო წესებზე? როგორ შეუძლიათ დეპუტატებს საქმიანობა გასწიონ სათათბიროში, როცა ასი ათასი მებრძოლი საპყრობილეებში იხრობა და იღუპება უსამართლოდ? რისთვის უნდა გამოსცენ დეპუტატებმა კანონი, თუ დღევანდელი, ძალმომრეობაზე დამყარებული მთავრობა, ისევ თავის ადგილზე იქნება?

სტყუის მთავრობა და ოცნებობენ ის დეპუტატები, რომლებიც ფიქრობენ დღევანდელ მთავრობასთან ერთად მოქმედებას. მთავრობა და სათათბირო ერთად ვერ იარსებებს, ერთი მეორეს გამორიცხავს. ან ერთი უნდა წავიდეს, ან მეორე, და დღეს ვითომ მშვიდობიანობა და ზომიერობა სუფევს სათათბიროში, შემდეგ მით უფრო მეტის სიძლიერით იფეთქავს ის საშინელი შეურიგებლობა, რომელიც ღრმად ჩანერგილია ხალხის გულში!

ასეთია ჩვენი შეხედულობა, ვნახოთ მომავალი რას მოიტანს. **ს—ა.**

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**პეტერბურგი.** 26 თებერვალს საღამოს სხდომაზე პრეზიდიუმმა დაადგინა: ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლებს აღარ მისცეს დამატებითი ადგილები სათათბიროში; არავის არ მისცეს კულუარებში შესასვლელი ბილეთები; ჟურნალისტებს, ვისაც ზემო ლოჟაში ადგილი აქვთ, ნება არ მიეცეს კულუარებში სიარულისა.

მღვდელმა პეტროვმა სათათბიროს თავმჯდომარეს წერილი გაუგზავნა. იგი, სხვათა შორის, სწერს: „მღვდელი არ გამართლდა, უნდა დავრჩე მონასტერში, რა გაეწყობა! თუ სათათბიროში ჩემ დაპატიმრების შესახებ ლაპარაკი ჩამოაგდონ, ნება მიბოძეთ მივმართო სათათბიროს წევრებს შემდეგის პრინციპიალური თხოვნით: სათათბიროს დღევრძელობის სახელით, რათა კიდევ უფრო არ დაიხლართოს ისედაც ძნელი მდგომარეობა, ვთხოულობ მშვიდობიანის თვალით შეხედონ სინოდის უარს ჩემის მონასტრიდან დაბრუნების შესახებ. სინოდის ბრძანება ჩუმად, უსიტყვოდ უნდა მივიღოთ“.

სათათბიროში განაგრძობენ არჩევნების შემოწმებას. მოითხოვეს არჩევნის საქმის ქაღალდები კიშინევიდან, მოგილიოვიდან და ბესარაბიის გუბერნიიდან. ყველაზე მეტ მიზეზებს საკასაციოდ პოლტავის და ტამბოვის გუბერნიის არჩევანი იძლევა. სადაოა ტავრიდის, ხერსონის და გროდნოს გუბერნიები. რთულ იურიდიულ საკითხს წარმოადგენს ლიფლიანდიის და ბესარაბიის გუბერნიების არჩევნების გადასინჯვა. ლიფლიანდიაში არჩევნების ნება არ მიუციათ ბატრაკებისათვის, ხოლო ბესარაბიაში—რეზეშებისთვის (ჩინშევიკები) მაშინ, როცა არც საარჩევნო კანონში, არც სენატის განმარტებაში იმათ შესახებ არაფერია ნათქვამი. სათათბიროს შემდეგი სხდომა პარასკევს მოხდება.

ოდესის დეპუტატმა პერგამენტმა პრეზიდიუმში აღძრა საკითხი ოდესის აკლებების და მთავრობის მიერ რუსთა კავშირის მფარველობის შესახებ.

სათათბიროს წევრად ამიერ კასპიის მხარეში აირჩიეს გლეხი მირონოვი ს.-დემოკრატი.

ასხაბადში აირჩიეს, ადგილობრივ მკვიდრთაგან თურქმენთა მილიციის პოდპოლკოვნიკი აბდულ ხალილევი—უპარტიო; ვაჭარი ტაჯიკი; ფერგანის ოლქში მკვიდრთაგან აირჩიეს დრუკარი—მემანქანის თანაშემწე, ს.-რევოლიუციონერი; მეჯა მეჯანოვი ვაჭარი სართი, უპარტიო. სხვა ცნობით დრუკარი შრომის ჯგუფს ეკუთვნის, ხოლო მირონოვი მემარცხენეა.

(გაზეთებიდან)

**ამნისტია.** ამბობენ, რომ მთავრობას განზრახვა აქვს მალე წარუდგინოს სათათბიროს ამნისტიის პროექტი. კანონ-პროექტის შემუშავება მონდობილი აქვს იუსტიციის მინისტრს და შემდეგ საფუძველზე იქნება აგებული: 1) სრული პატივება მიენიჭება ყველას იმათ, ვისაც „ლიტერატურული ბოროტ მოქმედება“ დაბრალდა, გარდა იმათი ვისაც ბრალდება პრესაში ხელმწიფის შეურაცყოფა; 2) სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქნებიან ყველანი, ვინც ადმინისტრატიულის წესით იქმნა დასჯილ-გასამართლებული; 3) ამნისტია შეეხება იმ პირთაც, ვისაც დაბრალდა არა-ლეგალურ გამოცემათა გავრცელება ან შენახვა; 4) სრულიად არ შეეხება ამნისტია იმათ, ვისაც ტერორისტულ აქტის მოხდენა დაბრალდა; 5) სასჯელი შეუმსუბუქდება იმათ, ვისაც დაბრალდა ტერორისტების დახმარება. ასეთია მთავრობის პროექტი, რომელსაც, უეჭველია, სათათბირო თავისას დაუპირდაპირებს.

**უცნაური გამოძიება.** „რუსკოე სლოვო“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან, ვითომ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს ცნობილ კრიჟანოვსკის პრემიერ-მინისტრმა სტოლიპინმა დაავალა გასინჯოს მთელი მასალა არჩევნების შესახებ და გამოარკვიოს, რით აიხსნება „გაუგებარი და მოულოდნელი გამარჯვება მემარცხენეთა“-ო. კრიჟანოვსკი რამდენიმე კვირით განთავისუფლებულ იქნა კიდეც სხვა მოვალეობიდან.

**მემარჯვენენი.** სათათბიროს წევრნი „ჭეშმარიტ რუსთა კავშირისა“ უერთდებიან ოქტომბრისტების საპარლამენტო ფრაქციას. ამბობენ, მემარჯვენეთა ბლოკს შემდეგი რეზოლიუცია მიუღია: 1) წინააღუდგნენ ავტონომიას და, საზოგადოთ, რუსეთის როგორსამე გაყოფას; 2) წინააღუდგნენ ებრაელთა თანასწორუფლებობას; 3) წინააღუდგნენ ამნისტიას; 4) წინააღუდგნენ კრუშევანისა და პურიშკევიჩის გამორიცხვას სათათბიროდან.

**კადეტების გამორკვეული რიცხვი და სოციალ-დემოკრატები სათათბიროში.** „რუს. სლ.“-ს სიტყვით, სათათბიროში ირკვევა კადეტების რიცხვი. საბოლოო ანგარიშით სათათბიროში 129 კადეტია. იმათ ემხრობა 15; სულ 144 კაცია. ამ 2—3 დღეში უნდა შედგეს მემარცხენეთა ბლოკი. ჯერ-ჯერობით თანხმობა და ორგანიზაცია არ არის სოციალ-დემოკრატებს შორის.

**სამხედრო-საველე სასამართლოები სტოლიპინის დეკლარაციაში.** „ნოვ. სლ“-ი იუწყება, რომ სტოლიპინის დეკლარაციაში, რომელიც იმან სათათბიროში უნდა წაიკითხოს, ამოშლილია შემდეგი სიტყვები: „სამხედრო საველე სასამართლოები საჭიროა სამშობლოს მშვიდობიანი განვითარებისათვის“... დეკლარაცია მშვიდობიანი კილოთია დაწერილიო.

**მშრომელთა ჯგუფის კომისია.** მშრომელთა ჯგუფმა შეადგინა იურიდიული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს კანონ პროექტი ამნისტიის შესახებ.

**პოლონელთა კოლო.** სათათბიროში გამოირკვა ეგრედ წოდებული პოლონელთა კოლო, რომელიც 46 კაცისაგანაა შემდგარი და განიყოფება პოლონელთა და ლიტველთა კოლოდ, რომელნიც შეთანხმებით მოქმედებას აპირებენ. პოლონელთა კოლოს ჯერ-ჯერობით არ გამოურკვევია თავისი დამოკიდებულება კადეტებთან, იმისი წევრები კი ირწმუნებიან, მემარჯვენეებს არ შეურიგდებით და დღევანდელ სამინისტროს მოქმედებას ხელს არ შეუწყობთო.

**დეპუტატთა არჩევნების შემოწმება.** მშრომელთა ჯგუფის კრებაზე აღძრული იქმნა საკითხი დეპუტატთა არჩევნების შემოწმების შესახებ. წაკითხულ იქმნა სია სხვა და სხვა დეპუტატებისა, რომელთა შესახებ ეჭვი აქვთ, რომ წესიერად არჩეულნი არიან, სხვათა შორის შავ-რაზმელი რედაქტორი კრუშევანიც იყო მოხსენებული, რომლისათვის ათას მკვდარ კაცს მიუცია კენჭი.

### საფრანგეთის საქმეები

დიდი საკანონმდებლო მუშაობაა საფრანგეთის პარლამენტში. კლერიკალიზმთან ბრძოლა საკანონმდებლო გზით დასრულდა: მიუხედავად სამინისტროს ლმობიერებისა, რომის პაპსა და კლერიკალებს არა სურთ მშვიდობიანი პოლიტიკა და თავმობეზრებული მთავრობაც გაჩერდა. კლემანსომ გადაჭრით გამოაცხადა—დათმობის პოლიტიკა საბოლოოდ გათავდაო. დროც იყო, რადგან უდიდესი საქმეები აქამდე შეჩერებული იყო. ეხლა სწორედ ამ საქმეებს შეუდგა რესპუბლიკის პარლამენტი.

უმთავრესი საქმე პროგრესიული გადასახადია. გადასახადების პოლიტიკის მხრივ საფრანგეთი ჩამორჩა ინგლისსაცა და გერმანიასაც. ამ სახელმწიფოებში უკვე შემოღებულია პროგრესიული გადასახადი შემოსავალზე. საფრანგეთის რადიკალები დიდი ხანია სცდილობენ ამ საქმის მოგვარებას და მხოლოდ ეხლა მიეცათ შეძლება იმის განხორციელებისა. ფინანსთა მინისტრს უკვე მზად აქვს კანონ-პროექტი და, როგორც გაზეთები იტყობინებიან, ამ სესსიაში იქნება იგი განხილული. კანონ-პროექტის დედა აზრია, რომ მცირე შემოსავლის პატრონი სრულიად თავისუფალი იყოს პირდაპირის გადასახადისაგან, სამაგიეროთ, რაც უფრო დიდია შემოსავალი, გადასახადიც მეტი უნდა იქნეს. თუ ნაკლებად შეძლებულს შემოსავლის ორი პროცენტი გადახდება, მდიდარს თავის შემოსავლის ხუთი პროცენტი გაეწერება. დიდის ხნის ლოდინი დასჭირდა საფრანგეთის დემოკრატიას, რომ სოციალურ სამართლიანობის ამ ელემენტალურ მოთხოვნის ასრულების დღე დამდგარიყო, იმდენად ეგოისტური და უსამართლოა ბურჟუაზია.

მეორე საყურადღებო საქმე, რომელიც უნდა განიხილოს რესპუბლიკის პარლამენტმა, საარჩევნო კანონ-პროექტია. ზოგ ჩვენ მკითხველს, შეიძლება, გაუკვირდეს კიდეც—საფრანგეთში ხომ დიდი ხანია შემოღებულია საყოველთაო საარჩევნო უფლება და რაღა საარჩევნო რეფორმაა კიდევ საჭიროა. მაგრამ, როგორც ევროპის პრაქტიკამ დაამტკიცა, მარტო საყოველთაო საარჩევნო პრინციპის ცნობა არაა კმარა საარჩევნო სამართლიანობისა და სასურველ კანონმდებლობის განხორციელებისათვის. დღეს რომ საარჩევნო წესი არსებობს საფრანგეთში, უმცირესობა, ე. ი. არჩევნების დროს დამარცხებული პარტიები, პრაქტიკაში ჩალა-გამოვლებულნი რჩებიან: წარმომადგენლები არა ჰყავთ პარლამენტში, რაც უნდა იყოს ამ უმცირესობის შემადგენელ ამომრჩეველთა რიცხვი, და ეს ყველგან ეგრეა სადაც არჩევნები პროპორციონალური არ არის (დღემდე მხოლოდ ფინლიანდიასა და ორიოდე სხვაგანაა ასეთი წესი შემოღებული). რესპუბლიკის მთავრობის ახალის პროექტით საფრანგეთში უნდა დაწესდეს პროპორციონალური არჩევნები, რომ პარლამენტი მარტო უმრავლესობის წარმომადგენელი არ იყოს და, რაც შეიძლება, უკეთ გამოხატოს სახელმწიფოში არსებული მიმართულებანი და ინტერესები.

არსებულის წესით, საფრანგეთის რესპუბლიკა იმდენ საარჩევნო ოლქად არის გაყოფილი, რამდენი დეპუტატიც არის ასარჩევი. საარჩევნო ოლქი სივრცით პატარაა, ირჩევენ ისეთ პირს, რომელსაც ამ ვიწრო წრეში იცნობენ და რომელიც ამ წრესთან არის დაკავშირებული და მისი ინტერესებით არის გამსჭვალული; ასეთი დეპუტატი მეტად დამოკიდებულია ადგილობრივ ინტერესებისაგან და იგი მშვენიერი წარმომადგენელი იქნებოდა ადგილობრივ თვითმართველობაში. მაგრამ იქ, სადაც საერთო სახელმწიფო საქმეებია გადასაწყვეტი, ასეთი დეპუტატი ხშირად ვერ გამოდგება ხოლმე, რადგან აკლია ფართო და ვრცელი პოლიტიკური ჰორიზონტი და ვიწრო პროვინციალურ ქერქიდან ვერ გამომძვრალა. საფრანგეთის მთავრობის განზრახვაა, შესცვალოს საარჩევნო დანაწილება საფრანგეთისა: საარჩევნო ერთეული იქნება დეპარტამენტი; ყოველი დეპარტამენტი აირჩევს იმდენ დეპუტატს, რამდენი 25 ათასი ამომრჩეველიც იქნება დეპარტამენტში. ვთქვათ, დეპარტამენტში ასი ათასი ამომრჩეველია, მან უნდა აირჩიოს ოთხი დეპუტატი; თითეულ დეპუტატს ირჩევს მთელი დეპარტამენტი და არა პატარა საარჩევნო ოლქი, როგორც აქამდე; ამიტომ ყოველი დეპუტატი ბევრად უფრო მეტის ხალხის არჩეული იქნება, იგი არ იქნება დამოკიდებული ვიწრო პროვინციის წრისაგან, რომელსაც, ხშირად, ადგილობ-

## ფელეტონი

### ჰენრიხ ჰეინე

იდეები *)

(თარგმანი გერმანულიდან)

> ქალი სიყვარულის ღირსი იყო და ვაჟს უყვარდა იგი; ვაჟი კი არ იყო სიყვარულის ღირსი და ქალს არ უყვარდა.
>
> **(ძველი დრამა)**

**II**

ქალბატონო! ეს ძველი დრამა გახლავთ, თუმცა გმირი არც სხვასა ჰკლავს, არც თითონ იკლავს თავს. გმირ ქალს თვალები ლამაზი აქვს, ძლიერ ლამაზი—გრძნობთ, ქალბატონო, ის სუნს?—ძლიერ ლამაზი და ისე წმინდად გალესილი, რომ, შუშის ხანჯლებსავით, გულში გამიარეს და, რასაკვირველია, უკან ზურგში ამოჰყვეს თავი.—მაგრამ მაინც ვერ მომკლეს იმ მუხანათმა თვალებმა. ქალს ხმაც ლამაზი აქვს...—გესმით, ქალბატონო, ბულბულის სტვენა?—ლამაზი, აბრეშუმის ხმა, უტკბილეს ხმებისაგან წმინდად ნაქსოვი; ჩემი სული შიგ გაება და საბრალოდ ფართხალებდა და იკლაკნებოდა. თითონ მე—ახლა გრაფი ფონ განგეს გესაუბრებათ და მოქმედება ვენეციაში სწარმოებს—ერთ დროს თითონ მე მომწყინდა ამგვარი დაუსრულებელი ტანჯვა-წვალება; მინდოდა, წარმოდგენა პირველ მოქმედებაშივე მომესპო: სამასხრო ჩაჩი და ამ ჩაჩის ქვეშ უბედური ჩემი თავი ტყვიით დამენარცხებინა დედამიწაზე. წაველი ბურსტას ქუჩაზე და იქ ერთ გალანტერიის მაღაზიაში გავჩერდი, სადაც გამოფენილი იყო ყუთში ჩაწყობილი ერთი წყვილი მშვენიერი დამბაჩები. ყველა ეს ეხლაც კარგად მახსოვს. იქავე ელაგა მრავალი ლამაზი სადაფისა და ოქროს ნივთეულობა:—ოქროს ძეწკვზე ჩამოკიდებული რკინის გულები, ჩინური თასები, წმინდად ამოჭრილი წარწერებითა, საუცხოო ნახატებიანი ბურნუთის კოლოფები, მაგალითად—ეხატა ზედ წმ. სუზანას სურათი, „ლედას გედის სიმღერა“, „საბინელ ქალების მოტაცება“. ერთ კოლოფზე ლუკრეცია, მსუქანი უმანკოება, ტიტველა ძუძუში ხანჯალს იცემდა, ნეტარი ბეთმანი და სხვები,—მაგრამ მე ამათი დარდი არა მქონდა: ვიყიდე დამბაჩები, ვიყიდე ტყვიები და თოფის წამალი, შემდეგ სინიორ უნზმეიდენის მარანში შევიარე, კიბოები და ერთი ჭიქა რეინვეინი მოვითხოვე.

ჭამა-სმა სრულებით არ მეხალისებოდა. ცხარე ცრემლებს ვაწვიმებდი ჭიქაში და შიგ დავინახე საყვარელი სამშობლო, ცის ფერი, ღვთიური მდინარე განგეს, საუკუნო შუქით მოსილი ჰიმალაიას მთები, უზარ-მაზარი ბანანის ტყეები, რომლის დიდებულ ხეივნებში მშვიდობიანად მოვიდოდნენ გონიერი სპილოები და თეთრად მოსილნი მლოცავნი; უცნაურად დაფიქრებული ყვავილები მიცქეროდენ რაღაც იდუმალი გრძნობით; საოცარ ოქროს ფრინველებს გაჰქონდათ მხიარული სტყენა-ჭიკჭიკი; ბრჭყვიალა ცელქი მზის სხივები და მაიმუნების ტუტუცური სიცილი მაზრზენდნენ საამურად; შორ სალოცავებიდან მოისმოდა ქურუმთა მორჩილი ლოცვა; ჰაერში თრთოდა დეჰლის სულთანის ცოლის ტკბილი, გულსაკლავი ხმა. გახელებული დარბოდა ის თავის ლამაზ, ხალიჩებით მორთულ ოთახში, დაეფხრიწა თავისი მშვენიერი ვერცხლის ლეჩაქი, ფარშავანგის ბოლოთი დასცა ძირს თავისი მხევალი ზანგი ქალი; ტიროდა, ჰკიოდა, აქცევდა იქაურობას... მე კი არაფერი არ მესმოდა: უნზმეიდენის მარნიდან დელჰის ჰარამხანამდის 3000 მილი მანძილია; ესეც რომ არ იყოს, ტურფა სულთანის ცოლი აგერ 3000 წელიწადია, რაც მკვდარია... და მე სწრაფად გადავკარი ღვინო, ნათელი, მხიარული ღვინო, სული კი სულ უფრო და უფრო მიწუხდა და მიღონდებოდა.... მე სიკვდილი მქონდა გადაწყვეტილი.

მარნის კიბეზე რო ამოვედი, ზარების წკარა-წკური მომესმა; ქუჩაში ჯარად მოდიოდა ხალხი; Strada San Giovanni'-ს კუთხეში გავჩერდი და შემდეგი მონოლოგი წარმოვსთქვი:

ზღაპრული ოქროს დარბაზი ბრწყინავს;
ისმის ჩონგურთა საამო ძღერა, ქალწულთა ცეკვა,
დარბიან ცქვიტად კოხტა მსახურნი;
ვარდი, ია და იასამანი ჰფენს სურნელებას,
და ერთად ერთი სიტყვა გრძნეული დაამხობს მყისვე
ამ ბრწყინვალებას... რჩება მხოლოდ ნანგრევი უშნო—
ბუთა და ქვემძრომთ ბნელი სამკვიდრო.
და მეც აგრეთვე გრძნეული სიტყვით მთელ ბუნებას
აყვავებულს ავხსნი ჯადო.
აწ განისვენებს მკვდარი, გახრწნილი, გაცივებული,
ვით მეფის გვამი დიდებულად გამოწყობილი,
რომელსაც ლაწვნი წითლად აუფერადეს
და ხელთ ჩაუდეს სკიპტრა სამეუფეო.
ხოლო ტურები დარჩნენ დამჭკნარნი, გაყვითლებულნი,
რადგან იმათ, დავიწყებულთ, არ ერგოთ ფერი.
და მეფის ცხვირზე თამამად ხტიან ცელქი თაგვები
და თავხედურად დიდებულ სკიპტრას დასთამაშებენ.

ყველგან ჩვეულებად გახლავთ მიღებული, ქალბატონო,—თუ ვინმე თავის მოკვლას დაპირებს, სიკვდილის წინ უთუოდ ერთი მონოლოგი უნდა წარმოსთქვას. უმრავლესობა ამისთანა შემთხვევაში ჰამლეტის „ყოფნა თუ არ ყოფნა“-ს გამოიყენებს ხოლმე. დიდაც ჩინებული სიტყვა გახლავთ, მეც სიამოვნებით ვისარგებლებდი იმით,—მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ,—„ჯერ თავო და თავო, და მერე ცოლო და შვილოო“, და თქვენც რომ ჩემსავით ტრაგედიები გეწეროთ, სადაც ამ სოფლით გასვლა მიმავალთა სიტყვებია ჩართული, როგორც მაგალითად უკვე ვ „ალმანსორ“-ში*) გახლავს, რასაკვირველია ამ თქვენ საკუთარ სიტყვებს თვით შექსპირის სიტყვებსაც ანაცვალებდით. ყოველ შემთხვევაში ამგვარი სიტყვები ერთობ გამოსადეგნი არიან, ცოტა დროს მაინც გამორჩება სასიკვდილო ადამიანი მათის წყალობით და ახლაც ისე მოხდა, რომ მე San Giovanni'-ს ქუჩის ერთ კუთხეში ცოტა არ იყოს დამაგვიანდა და რომ ვიდექი ასე გაშტერებული, ბედშავი, სასიკვდილოდ განწირული, უეცრად თვალი მოვკარი **იმას!**...

იმას ცის ფერი აბრეშუმის კაბა ეცვა და თავზე ვარდის ფერი ქუდი ეხურა. იმისმა თვალებმა შემომხედეს ისე ტკბილად, სიკვდილის დამთრგუნავად, ცხოვრების მომნიჭებლად... რომის ისტორიიდან გეცოდინებათ, ქალბატონო, ძველ რომში ვესტალინები**) რომ ქუჩაში დამნაშავეს შეხვდებოდნენ, რომელიც სიკვდილით დასასჯელად მიჰყავდათ, უფლება ჰქონდათ მისთვის სიცოცხლე ეჩუქებინათ, და საცოდავი მაწანწალა ისევ ამ წუთი-სოფელში დაერჩინათ.—ერთი თვალის გაკვრით გადამარჩინა იმან სიკვდილს, და მე უდიდ წინ ახლად გაცოცხლებული, იმისი მშვენიერების შუქით დაბრმავებული... იმან გვერდს გამიარა და ამ წუთი სოფელში დამარჩინა.

**III**

ტურფამ დამარჩინა ამ წუთი სოფელში; მე ვცოცხლობ, და სწორედ ეს გახლავთ უმთავრესი საგანი.

დეე სხვები დატკბენ ბედნიერი ფიქრით, რომ სატრფო იმათ საფლავს ვარდების გვირგვინით შეუმკობს და ერთგულების ცრემლით დანამავს... ოჰ, ქალებო!—შემიძულეთ, დამცინეთ, ჩამქოლეთ, ოღონდ სიცოცხლეს ნუ წამართმევთ!.. სიცოცხლე ზღაპარია მეტად ტკბილი, წუთი-სოფელი—საყვარლად არეულ-დარეული. სიცოცხლე სიზმარია ძველ ბერძენთა ღვინით დამთვრალ ღმერთისა, რომელიც ფრანგულად მოქეიფე თავის ამხანაგებს მოშორდა, ერთ განმარტოებულ ვარსკვლავზე დაესვენა დასაძინებლად და თითონაც არ იცის, თუ ყველაფერი, რასაც სიზმარში ხედავს, იმისი საკუთარი შემოქმედებაა. სიზმრის ლანდები ხან უცნაურად, გიჟურად ირევიან ერთმანეთში, ხან კი ლამაზად, მწყობრად დალაგდე-

*) იხ. „ისარი“ № 40

*) ჰაინეს ტრაგედია.

**) სალოცავი კერას ქალ-ღმერთის მონაზვნები. მთარგ.

რივ მდინარეზე ხიდის გაყვანა უფრო დიდ და საყურადღებო საქმედ მიაჩნია, ვიდრე მაგალითად, მთელი საეკლესიო პოლიტიკა რადიკალ სამინისტროსი.

ერთი სუსტი მხარე აქვს კლემანსოს სამინისტროს საარჩევნო პროექტს: ამ პროექტით დეპუტატებში ექვსის წლით უნდა იქნენ არჩეულნი (ეხლა ოთხის წლით ირჩევენ). ასეთი დიდი ვადა დეპუტატებისა დემოკრატიულ პრინციპის წინააღმდეგია, რადგან გრძელ ვადიანობის წყალობით ხალხის წარმომადგენელნი რაღაც პოლიტიკურ კასტად იქცევიან, რადგან ამომრჩევლებთაგან დამოკიდებულების გრძნობა სუსტდება, დეპუტატი ნელ-ნელა ივიწყებს, რომ იგი მხოლოდ აღმსრულებელია მის მომავლინებელთა ნებისა და თვისი თავი ჰგონია მომავლინებელად. სწორედ ამის წამლად არის გამოგონილი მოკლე ვადიანი პარლამენტი. ამის წამლად შეიტანეს დიდ რევოლიუციის მოღვაწეებმა 1793 წლის შესანიშნავ კონსტიტუციაში ერთი მუხლი, რომლის ძალითაც ამომრჩევლებს უფლება ეძლევათ ვადამდე დეპუტატის გადაყენებისა, თუ იგი ღალატობს მისდამი მინდობილ საქმეს. დღემდე ეს მუხლი არც ერთ არსებულ კონსტიტუციაში არ არის შეტანილი და სამწუხაროდ, არც კლემანსოს სამინისტროს უფიქრნია ამაზედ.

## ახალი ამბავი

◆ **საალყო წესები.** ტფილისში ამბავი მოვიდა, ვითომ ქუთაისში საალყო წესებს გამოაცხადებენო. მიზეზი, როგორც ამბობენ, ყოფილა 15,000 მანეთის გატაცება, როდესაც სამი ყუმბარა გადააგდეს, რამდენიმე კაცი დასჭრეს და რამდენიმეც მოჰკლეს.

◆ **ბოქაულის მოკვლა.** 27 თებერვალს პოლიციის მე-5 ნაწილში მოჰკლეს ამ ნაწილის ბოქაული სკლიაჩენკო. ბოქაული საღამოს ასე $8^1/_2$ საათზე თავის სახლიდან მიმავალებულა პოლიციის სამმართველოში. როცა იგი მიახლოვებულა აბასაბადის მოედნისა და ლერმონტოვის ქუჩის შესართავს, ვიღაც უცნობებს ხუთჯერ რევოლვერი დაუხლიათ. სკლიაჩენკოს ორი ტყვია მოჰხვედრია გულში, ერთი ფერდში და ერთიც ბარძაყში. ბოქაული იქვე მომკვდარა. მკვლელები მიიმალნენ. ამავე საღამოს პოლიცია შეუდგა ჩხრეკას, მაგრამ მკვლელების კვალს ვერ მიაგნო.

◆ **ვალ. ვუნიას საღამო.** როგორც ვწერდით, დღეს ხუთშაბათს, საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გამართება მეტად საინტერესო საღამო ავადმყოფ არტისტის და დრამატურგის ვალერიან გუნიას სასარგებლოდ. საღამოში, სხვათა შორის, მონაწილეობას იღებს გამოჩენილი მომღერალი ქალი ვან-ბრანდტი და აგრეთვე საუკეთესო მომღერლები ოპერიდან, „ახალ დრამის" ნიჭიერი მსახიობნი, ქალნი და ვაჟნი, და აგრეთვე სომხურ და ქართულ დასის მსახიობნი. საღამოზე ქართული ხორო შეასრულებს ქართულ ხმებს. დასასრულ გაიმართება ლოტო. ლოტოში მომგებთ ფულის ნაცვლად მიეცემათ ძვირფასი ოქროსა და ვერცხლის ნივთები, რომელთა ღირებულობა 25—100 მანეთამდეა. სრული იმედი გვაქვს, რომ საზოგადოება დაესწრობა ამ საინტერესო საღამოს და მით ხელს შეუწყობს ავადმყოფ მუშაკს ქართულის თეატრისას. საღამოს დიასახლისობა უკისრნია კნ. ელისაბედ ჯამბაკურიან-ორბელიანისას.

◆ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით** სამხედრო-საოლქო სასამართლოში მისცეს სერგეი მათევოსიანცი. ვიატკის გუბერნიაში სამის წლით იგზავნება არტემ ტერ-მათეოსოვი; ჰბრალდება ტერორისტობა და ფულის დატყუება. ილარიონ კაციაძე, რომელიც არხანგელსკის გუბერნიაში იგზავნებოდა, იგზავნება ვოლოგდის გუბერნიაში. ტფ. გუბერნიიდან ეტაპით იგზავნება დუშეთის მაზრის მცხოვრები სანდრო ირემაშვილი; ჰბრალდება რევოლიუციონერთა პარტიის წევრობა. დაიხურა ტფილისში გიგო ქიტუაშვილის დუქანი და სარქის მღებროვის ლუდხანა. ჰბრალდებათ ქურდებისა და მძარცველების თავის შეფარება.

◆ **საიდუმლო მკვლელობა** ტფ. სადგურთან 27—28 თებერვალს ვიღაც უცნობებს ბებუთით მოუკლავთ ერთი კაცი, რომლის ვინაობაც არ არის გამორკვეული. მკვლელებს, რომ კვალი ბოროტ-მოქმედებისა დაემალათ, მოკლული გადუთრევიათ რკინის გზის ლიანდაგზე და იქ დაუგდიათ, ვითომც მას მატარებელმა გადაუარა და გასრისაო.

◆ **საქმე ყუმბარის სროლის შესახებ.** დღეს, 1 მარტს, ტფ. ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ტფილისის გუბერნიის მცხოვრებთა ჩუბინიძისა, მაჭავარიანისა და ზუბიაშვილისა, რომელთაც ბრალდებათ თავ. გიორგი ამილახვარისათვის და იმის მხლებელთა ნემსაძის, კვალიაშვილისა და სხვათათვის ყუმბარის სროლა. დაბარებულია 20-ზე მეტი მოწმე.

◆ **მძარცველნი.** ტფილისში ამ ბოლო დროს ხელ-ახლა გამრავლდნენ მძარცველები და შანტაჟისტები. ხალხს უსახელო ბარათებს უგზავნიან და მუქარით ფულს თხოულობენ. ზოგ ბარათს აწერია: „партія волонтеровъ—смерть", ზოგს—„огнемъ и мечемъ", ზოგს—„коссиръ и волкъ", ზოგს კიდევ—„вождь и коршунъ".

◆ **მკვლელობა და სროლა.** 27 თებერვალს საღამოს 9 საათზედ თედოროვისა და ელისაბედის ქუჩის შესართავთან ვიღაცეებმა რევოლვერით მოჰკლეს ერევნის მცხოვრები ანდრია ავაკიანცი. მკვლელები მიიმალნენ. მიზეზი მკვლელობისა არ არის გამორკვეული. ამავე დროს, საღამოს 8 საათზედ, ელისაბედის ქუჩაზე მიდიოდა მინგრელსკის პოლკის ვოლნოოპრედელიაიუში ვესელოვსკი. ვიღაცებს ოთხჯერ ესროლათ იმისთვის რევოლვერი, მაგრამ აუცდენიათ. მსროლელნი მიმალულან.

◆ **ახალი წიგნები.** მოგვივიდა შემდეგი ახალი წიგნები: 1 „Къ антропологіи Грузіи," ა. ჯავახიშვილისა. ეს წიგნაკი გადაბეჭდილია „Русск. Антр. Журналъ"-იდან; 2. „ჩემის დღიურიდან," ნიკო მოსკოველ-ოდიშელისა ფასი სამი შაური.

◆ 27 თებერვალს ტფ. ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ახალ ხმოსანთა საარჩევნო სიების შემოწმება. კომისიამ აირჩია სიების შესამოწმებლად სამი მცირე კომისია.

◆ 27 თებერვალს ტფილისში გარდაიცვალა მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მთავარ სამართველოს რწმუნებულთან მყოფი მიკოლოგი ნ. ნ. სპეშნევი.

◆ გუშინ, 28 თებერვალს, ტფ. სამასწავლებლო ინსტიტუტში დასრულდა სწავლა და გამოცდები. მოწაფენი დაითხოვეს. მიზეზი ადრე დათხოვნისა შენობის შეკეთება.

◆ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „გთხოვთ ნება მომცეთ მადლობა გამოუცხადო ქიათურაში მომუშავეს ტარასი ლეჟავას, რომელმაც დიდი ჯიხაიშის უფასო წიგნ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ მის მიერ შეგროვილი ფული თვრამეტი მანეთი გამოგზავნა. მადლობას ვუცხადებთ იმათაც, ვინც შემწეობა აღმოუჩინა. შემწირველთა სია: ტარასი ლეჟავა 3 მ., ბესარიონ ლეჟავა 2 მ., იასონ ლეჟავა 1 მ., ბიკტორ ლეჟავა 1 მ., რაჟდენ ლეჟავა 1 მ., ვასილ ლეჟავა 1 მ., ნესტორ ბიბილეიშვილი 1 მ., სილოვან მაგალაძე 1 მ., ევგენია კოხრეიძე 1 მ., კირილე თელია 1 მ., კოწია ბჟტაძე 1 მ., მაქსიმე გეგენეიშვილი 1 მ., პორფირე ხუჯუა 1 მ., ვასო ნოზაძე 1 მ., სოსო ნოზაძე 1 მ. დიდი ჯიხაიშის წიგნსაცავ-სამკითხველოს გამგე ივანე ცქიტიშვილი«.

## ქუთაისის ქრონიკა

◆ ექიმი გომართელი ამ ჟამად სატუსაღოშია. გუბერნიის ადმინისტრაციას მოუთხოვია მისთვის ხელ წერილი გადასახლების შესახებ გუბერნიიდგან და რადგან ამის თანხმობა ბ-ნ გომართელს არ მიუცია, ადმინისტრაციული წესით უპირებენ გაგზავნას გუბერნიიდან.

◆ რამდენსამე ქუთაისის ამომრჩეველს განზრახვა აქვს ეს ამბავი დეპეშით აცნობონ ქუთ. გუბერნიის დეპუტატებს სათათბიროში.

◆ 26 თებერვალს ქუთაისში ხმა გავარდა, რომ ვითომ სამტრედიაში შეიპყრეს 15000 მანეთის გამტაცებელნი რიცხვით ოთხი კაცი. რამდენად მართალია ეს ხმა დანამდვილებით ვერ შევიტყეთ.

◆ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს განუხილავს მოსამსახურეთა მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია მოსამსახურეთა ბიუროს სახელმძღვანელოდ. ინსტრუქციის ის მუხლები, რომელნიც მოსამსახურეთა დათხოვნასა და მიღებას ეხება საბჭოს შეუცვლია იმ სახით, რომ ახალი მოსამსახურის მიღების დროს ბიუროს უფლება ეძლევა რეკომენდაცია გაუკეთოს ამა თუ იმ კანდიდატს, ხოლო ამ ვე ბიუროს უფლება აქვს დასათხოვად წარადგინოს საბჭოში მოსამსახურე, თუ იგი ამისი ღირსია, და საბჭო საბოლოოთ სწყვეტავს კითხვას. დანარჩენი მუხლები საბჭოს შეუცვლელად მიუღია.

◆ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს აღძრულა საკითხი, რომ საბჭო მუდმივ კოლეგიათ გადაკეთდეს და მოხსენების შედგენა ამ საგანზე საბჭოს მიუნდვია თავის წევრის ალ. გამრეკელისთვის.

◆ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს საავადმყოფოს ახლად მოწვეულ ქირურგ კარტაშოვს, სახელმწიფო სათათბიროს წევრად არჩეულს, საბჭოსათვის უთხოვნია, რამდენიმე ხანს ჩემს ადგილზე სხვას ნუ მოიწვევთ იმ პირობით, რომ რა ხანსაც არ ვიმუშავებ, ჯამაგირს ნუ მომცემთო. საბჭოს შეუწყნარებია ეს თხოვნა.

◆ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ტეხნიკური ბიუროს გამგეს საპიცკისა და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კეტა-აბაშიძეს დაუთვალიერებიათ ჭიათურის სამრეწველო გზები და, როგორც მოხსენებიდგან სჩანს, გზები ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაში თურმე არიან. უმეტესი ნაწილი გზების ოღრო-ჩოღროებისა და დიდი ტალახის გამო თურმე გაუვალი არიან და მიმოსვლაც შეწყვეტილია. და ის გზები, რომლებზედაც სიარული ჯერ არ შეჩერებულა, თუ დროზე არ შეკეთდნენ, ისინიც გაფუჭდებიან და ამიტომ ტეხნიკური ბიუროს გამგე სთხოვს საბჭოს, საჩქაროთ შეაკეთოს გზა მუშების მომატებით ან საქმის იჯარით გაცემით. გზების შეკეთებას ბ-ნი საპიცკის აზრით მოუნდება არა ნაკლებ 2000 მანეთისა. საბჭოს განუხილავს ეს საგანი და ტეხნიკურ ბიუროს გამგისათვის დაუვალებია გზების შესაკეთებელი გეგმის შედგენა იმ პირობით, რომ ამ საქმეს 2000 მანეთზე მეტი არ მოხმარდეს.

◆ ბ. ილია კაკაბაძეს შეუტანია შავი ქვის მრეწველთა საბჭოში განცხადება, რომ უმუშავოთ დარჩენილთათვის ბინები დაიქირავეთ მით უმეტესად, ამბობს ბ-ნი კაკაბაძე, მერვე კრებამ დაავალა საბჭოს, რომ ან ახალი შენობა ააგოს ან და ქირით მოიპოვოს ბინა მუშებისათვის. საბჭოს შეუწყნარებია ბ-ნი კაკაბაძის განცხადება და მისთვისვე დაუვალებია მოხსენების წარმოდგენა ამ საგნის შესახებ.

## წერილი საზოგადოების მიმართ.

ვეწვიე მიხეილის საავადმყოფოში ი. კარგარეთელს. ჩვენი ცნობილი მომღერალი კარგა ხანია ცოცხალ-მკვდარი წევს ლოგინში უმწეო, ყველასაგან დავიწყებული. იმის სანახავად არავინ მიდის ხოლმე. ყველაზე მწარე, გულის მომწყვლელი—შავ-ბნელი უიმედობაა, რომელიც საავადმყოფოს არსებას ეუფლება. ერთად ერთი ხსნა იმისთვის—ოპერაცია, კისრის ძვლებში გამჯდარ ტყვიის ამოღებაა, და ამ ოპერაციას ტფილისში ვერ გაუკეთებენ. ოდესსელ პროფესსორს გაუგზავნეს კარგარეთელის ჭრილობის და ავადმყოფობის აწერილობა და იგი კისრულობს ოპერაციის გაკეთებას. ეხლა საზოგადოების დახმარებაა საჭირო, რათა თავისი მოღვაწე სიკვდილს გადაარჩინოს. „რომ მოვრჩე მერე რკინის ქალამნის ჩავიცვამ და საზოგადოების სამსახურში დავლევ სულს"-ო—მითხრა საწყალმა იმ. ოღონდ ფეხზე დამაყენონ და ჩემი პაწია ბაღდები უდროოდ არ დამიობლონ". ეს სიტყვები რომ სთქვა, თვალები ცრემლებით აევსო. ახლა ჩვენი მოვალეობაა ძმური დახმარება გაუწიოთ უზომო გასაჭირში ჩავარდნილ ჩვენ მოღვაწეს. შემოვკრიბოთ ძალნი და ვის რამდენი შეგვიძლია, შევწიროთ ძმა-კაცს და სიკვდილს გადავარჩინოთ. „ისრის" რედაქცია კისრულობს შემოწირულების შეგროვებას.

**ი. ნაკაშიძე.**

## წერილი სპარსეთიდან

**„შახსეი-ვახსეის" დღესასწაულობა.**

შარიათის მიმდევარი მაჰმადიანები კავკასიაშიაც დღესასწაულობენ „შახსეი-ვახსეის". მკითხველთაგან ბევრი იქნება ამ დღესასწაულობის მნახველი, მაგრამ აქ, თავრიზში, ეს დღესასწაულობა ბევრით განირჩევა ნანახისაგან. ამიტომ, არა მგონია, მეტი იყოს მნახველისათვის და მით უმეტეს უნახავ-სათვის მოკლე აღწერილობა ამ დღესასწაულისა.

დღესასწაულობა დაიწყო 1 და დასრულდა 10 თებერვალს. სანამ დაიწყებოდა, ორის კვირით ადრე ვარჯიშობდნენ. თავ-თავიანთ უბანში არჩეულ ადგილას ქუჩაში იყრიდნენ თავს საღამოობით და მცოდნეს ხელმძღვანელობით სწავლობდნენ მოძრაობას და გალობით წარმოთქმას სამლოცველო სიტყვებისას. მასწავლებლებად დერვიშები და სეიდები იყვნენ. სწავლობდნენ ბავშვები და დიდრონებიც. რამდენსამე მეჩეთს და ზოგან თითო მეჩეთს ცალკე დასი ჰყავდა გაწყობილი სადღესასწაულოდ თვითეულ დასში არიან ისეთნი, რომელნიც ჯაჭვით იზეპავენ ბეჭებს და არიან ისეთნი, რომელნიც მარჯვენა ხელს ირტყავენ გადაღეღილ მკერდის მარცხენა მხარეს, ძუძუს ზემო ნაწილზედ. ამათ გარდა ზოგ დასში არიან ისეთნი რომელნიც სარტყლამდის გატიტვლებულნი ორივე ხელს ერთად ირტყავენ იმავე ადგილას, სადაც პირველნი; კიდევ არიან, რომელნიც ხელი-ხელ გადაბმულნი გალობის ტაქტზედ შესაფერის მოძრაობით მიდიან; არიან ისეთნიც, რომელთაც მარცხენა ხელი ერთმანეთის ქამარზედ უკიდიათ, მარჯვენა ხელში ჯოხები უჭირავთ და ჯოხებს იქნევენ და თითონაც მოძრაობენ გალობის ტაქტზედ; არიან ისეთნიც რომელნიც ხანჯლებით შესაფერის სიტყვების გალობის დროს ორივე ხელს თავში [illegible], ე. ი. მგლოვიარე მომტირალნი. ჯაჭვების თავები, რომლებითაც იზეპავენ ბეჭებს, შეკრულია რგოლით, რაც გაყრილია 4 ვერშოკიან ტარს თავში. ჯაჭვის დამკვრელთ აცვიათ შავი მატყლის ჩოხა, უკან მხრებიდან სარტყლამდე ამოჭრილი, საიდანაც ტიტველა ბეჭები და ნახევარზედ მეტი წელი სჩანს; არიან ფეხ და თავ შიშველნიც; მკერდზედ ცალი ხელით მცემელნი ჩაცმულნი არიან ჩვეულებრივ, ხოლო მკერდი აქვთ გადაღეღილი; მკერდზედ ორივე ხელით მცემელთ, როგორც ვთქვი, მარტო შალვარი და ფეხსაცმელი აცვიათ, სხვანი ჩვეულებრივ ტანისამოსში არიან. ჯაჭვით მცემელებში მომეტებულად ბავშვებია 12—18 წლისანი, მკერდში მცემლები, მოტირალნი თავში მცემლები მომეტებულად ვაჟკაცნი და მოხუცნი არიან, თუმცა 16—17 წლისანიც ურევიან.

ყველა დასს აქვს ბაირაღები, ზოგს ბევრი და ზოგს ცოტა, ხოლო არა ნაკლები 5 ბაირაღისა. შავი ფერი უფრო მომეტებულია. ბაირაღის თავზედ არის თეთრი ქესტის და ზოგზედ ვერცხლის მარჯვენა ხელის თითი. ბაირაღზედ წარწერილია სამლოცველო სიტყვები.

თვითეულ დასის მონაწილენი იყრიან თავს თავთავიანთ მეჩეთთან, სადაც მოლა გალობს იმ დღეს შესაფერ ძილის პირს, რასაც მონაწილენი მოჰყავს სარწმუნოებრივ აღტაცებაში და როცა მოლა იგალობებს იმ სიტყვებს, რომლებიც მონაწილეთ უნდა იმეორონ გალობით, დაიწყობენ ჯაჭვებით და ხელით ცემას ჯერობით, თანაც გალობენ. ამ სახით მიდიან ბაზარში, გაივლიან ბაზრის ორს ან მეტ ქარვასლას. ბაზარში შედიან დილის 9 საათიდან და გამოდიან სხვა და სხვა დროს, არა უგვიანეს 4 საათისა. ბაზრის გავლას უნდებიან 3 საათზედ ცოტა მეტ-ნაკლებს დასის შემადგენელ მონაწილეთ რაოდენობის მიხედვით.

ყოველ ხუთ წუთში ექვსჯერ ირტყავენ ჯაჭვს: საითაც მიდიან სამჯერ დაირტყამენ, მერე ბრუნდებიან პირუკუღმა და ისევ სამჯერ ირტყავენ. მკერდში მცემელნი წუთში ერთხელ ასწრობენ დარტყმას, მაგრამ ესენი ისვენებენ, როცა მეორე ამისთანავე ჯგუფი გალობს და ირტყავს, ამიტომ საათში 30 ჯერ ასწრობენ დარტყმას. ბაზრიდამ დაბრუნებულნი ისვენებენ და საღამოს 8 საათზედ ისევ იწყობენ მეჩეთთან, ხოლო ახლა ქუჩა-ქუჩა დადიან იმავე წესით, როგორც ბაზარში და მეთერთმეტე საათზედ იშლებიან.

დღეში არა ნაკლებ ხუთის საათისა ასრულებენ ამ სარწმუნოებრივ მოქმედებას. ჯაჭვით მზეპავნი დაარტყამენ, ჩემის ანგარიშით, არა ნაკლებ 360 ჯერ და მკერდში მცემელნი არა ნაკლებ 150 ჯერ დღეში. თუ ამას ათზედ გავამრავლებთ, გამოვა, რომ ჯაჭვს ირტყავს თვითეული 3600 ჯერ და ხელს ირტყავს ერთსა და იმავე ადგილას თვითეული 1500 ჯერ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მონაწილეთა უმრავლესობა ისე ძალუმად ირტყავს ხელს, რომ საერთო ხმა ისმის მკაფიოდ 120 ნაბიჯზედ, თუმცა ამასთანავე აუარებელი ხალხის მოძრაობის და ბაზრის ხმა ასუსტებს, ცხადია, ადგილი, რომელსაც სცემენ, არ დარჩება დაზიანებული. არ ვიცი, რა ცვლილებას ახდენს შიგნით და გარედან კი ჯერ ლურჯდება, შემდეგ რამდენისამე დღისა მოწითლო ფერს იღებს და მერე ცხრე დღეს უკვე მოშაო ფერისა ხდება; ზოგისა კი გალურჯებასაც ვერ ასწრობს. ჯაჭვით მცემლებს ბეჭები ულურჯდებათ, მერე ზემო კანი ეშაბრებათ და წყლის ფერი წყლული ჩამოსწვეთთ. ბევრი-კი ისე ათავებს დღესასწაულს, რომ ცოტათი გალურჯებული აქვთ ბეჭები.

მეათე დღეს დასში მკერდზედ ხელის მცემელნი აღარ არიან. იმათ ადგილს იჭერენ ხანჯლით თავის დამჭრელნი. ამათ თეთრი მიტკლის გულსაფარი აქვთ, რომლის ერთი კალთა უკან მხრებს და ბეჭებს უფარავთ და მეორე ჩამოშვებულია წინ კოჭებამდის. მარცხენა ხელი უჭირავთ გვერდზედ მდგომის ქამარში, მარჯვენაში უჭირავთ ხანჯალი და სადაც ბევრი ხალხია შეკრებილი, იქ, თანახმად გალო-

---

ბიან... ილიადი, პლატონი, მარათონის ბრძოლა, მოსე, მედიჩის ვენერა, სტრასბურგის ტაძარი, საფრანგეთის რევოლიუცია, ჰეგელი, ორთქლმავალი და სხ. და სხ... ამათში თვითეული მოვლენა მხოლოდ ფიქრია შემოქმედის სიზმარში,—მაგრამ დიდხანს კი ვერ გასტანს ეგ სიზმარი, ღმერთს გამოეღვიძება, ნამძინარევი თვალებს ამოიფშვნეტს, გაიღიმებს და ეს ჩვენი ქვეყანა გაქრება, არარად იქცევა, დიახ, თითქო თავის დღეში არ გაჩენილიყოს.

ეჰ, რაც გახდეს, გახდეს! მე ვცოცხლობ! აქ სიზმრის ლანდიც რო ვიყო, მაინც მირჩევნია სიკვდილის ფუჭ, ბნელ, ცივ არარაობას. სიცოცხლე უმაღლესი ნიჭია, სიკვდილი კი—საზარლობაა. დე ბერლინის გვარდიის ლეიტენანტებმა დასცინონ და ჯაბანი უწოდონ პრინც ფონ ჰომბურგს, რომელიც შეკრთა და უკან დაიხია, როცა თავისი ღია სამარე დაინახა! ჰეინრიხ კლეისტი იმის თავ-მომწონე, პრანჭია ამხანაგებზე ნაკლები გულადი კი არ გახლდათ და საუბედუროთ ეს კიდევაც დაამტკიცა. ყოველ ძლიერ ადამიანს უყვარს სიცოცხლე. გეთეს ეგმონტი გულ-მშვიდად ვერ სტოვებს „სიცოცხლის, მოძრაობის ტკბილ ჩვეულებას". იმმერმანის ედვინი სიცოცხლეს ისე დაჰკონებია, როგორც ბალღი დედის ძუძუსა", და თუმცა სხვისი მოწყალებით სიცოცხლე ემწარება, მაინც ევედრება ამ მოწყალებას. „რადგან სიცოცხლე, სულთქმა—ზესთა ნიჭია" როცა ოდისსევსი ქვესკნელში მკვდარ გმირთა წინამძღოლს ახილევსს შეხვდება და ცოცხალთა შორის სახელ-განთქმულ და მკვდართაგანაც პატივცემულ გმირს ქებას შეასხამს, უკანასკნელი შემდეგ პასუხს აძლევს: „ნუგეშის სიტყვით ნუ ამკობ სიკვდილს, გმირო ოდისსევს მიჯობს, რომ ვიყო მუშა უბრალო, უთხოვო ყანა გლეხსა საწყალსა, სიღარიბითა შეიწრებულსა, ვიდრე გამქრალთა, მკვდართა ლაშქრისა ვიჯდე მბრძანებლად."

დიახ, როცა მაიორმა დიუვანმა დიდებული ისრაელ ლომი[1]) დამბაჩით დუელში გამოიწვია და უთხრა: „უფალო ლომო, თუ არ გამობრძანდებით, ძაღლად ჩაგაგდებთო!" ამ უკანასკნელმა უპასუხა, „მირჩევნია ცოცხალი ძაღლი ვიყო ვინემ მკვდარი ლომიო!" სწორედ მართალი სთქვა. იმდენი ბრძოლა და დავიდარაბა გამომივლია ცხოვრებაში, ქალბატონო, რომ ეხლა ნება მაქვს მეცა ვთქვა: „მადლობა ღმერთს, მე ვცოცხლობ! ჩემ ძარღვებში სდუღს წითელი სიცოცხლე; ჩემ ფეხ ქვეშ თრთის დედამიწა. სიყვარულით აღზნებული ვეხვევი მე ხეებსა და მარმარილოს ქანდაკებებს და ჩემი ხვევნით იმათში სიცოცხლეს ვბადავ; თვითეული ქალი—ჩემთვის ნაჩუქარი ქვეყნიერებაა: მე ვდნები იმისი სახის ჰანგებში; ერთი თვალის გაკვრით მეტი სიტკბოება შემიძლია შევსვა, ვინემ სხვებმა მთელ მათ სიცოცხლეში, მთელი მათი სხეულის ნაწილებით. ყოველი წამი ჩემთვის—საუკუნეა; დროს საზომად არც ბრაბანტულ, არც ჰამბურგულ ადლსა ვხმარობ, არც ღვდლებისგან საიქიო ცხოვრების დაპირება მეპირვება, რადგან ამ სააქაოსაც ბევრი რამ შემიძლია გამოვსცადო, შემიძლია ისევ ჩვენ წინაპართა ცხოვრება გამოვიარო და წარსულის სამფლობელოში საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო.

**ი. ნაკაშიძე.**

(გაგრძელება იქნება)

[1]) გერმანულად Lowe ლომსაც ნიშნავს და კაცის გვარიც არის.

ბით წარმოთქმულ სიტყვებისა, ირტყმენ ხანჯალს ზედ ქეჩერზედ. ზოგი ისე, რომ ჭრილობა ქეჩორს უკან და ქეჩორს წინ ორ ვერშოკს სიგძით აღემატება, ხოლო სიღრმევე ჭრილობისა და დიდის უმრავლესობისათვის კანზედ ქვევით არ მიდის. ამასთან ბევრი ახერხებს ერთსა და იმავე ადგილს დარტყმას, ზოგი-კი ალდენს ხანჯალს და ახალ ახალ ადგილს იკოდავს. სისხლი ზღით წინ და უკან, თეთრი მიტკალი ზოგისა მთლად იღებება სისხლში.

ჩემ წინ გაიარა ოთხმა დასმა, ოთხსავეში 527 კაცი იყო თავში დაჭრილი. ოთხი დასის გავლას ჩემ წინ მოუნდა 3 საათი 22 წუთი. ამათგან ერთი საათის განმავლობაში ხუთი თავში დაჭრილი დაბრუნეს დასის მოთავეთ, როგორც დასუსტებულნი მეტის სისხლის დენისაგან. გზა და გზა გამეტებით თავში ხანჯლით ძცემლებს ჯოხის შეშველებით იკავებდნენ ამისათვის მათ წინ მოსიარულენი და ზოგს სულაც ართმევდნენ ხანჯალს.

(შემდეგი იქნება)

# რუსეთი

✦ **უქმად დარჩენილ მუშების დეპუტაცია.** 21 თებერვალს, როცა პეტერბურგის ქალაქის საბჭოში ხმოსნებს სხდომა ჰქონდათ, მოვიდა 30 კაცისაგან შემდგარი უქმად დარჩენილ მუშების დეპუტაცია. დეპუტატები თხოულობდნენ შეეშვათ ისინი სხდომის დარბაზში, სადაც უნდა მოეთხროთ ხმოსნებისათვის უქმად დარჩენილ 1500 მუშის გაჭირვება. დეპუტატები ჯერ კიბესთან გააჩერეს და შენობაში არ უშვებდნენ. დიდ ხანს იდგნენ ისინი მოუთმრად, შემდეგ შევიდნენ სახლში და ზალის კარებთან გაჩერდნენ. გამოვიდა ქალაქის მოურავი და გამოაცხადა, უნდა წახვიდეთ აქედანაო. მუშებმა უპასუხეს: „ჩვენ მშივრები ვართ, უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდით და ახლა თქვენთან პასუხის გასაგებად მოვსულვართ: ელოდებით თქვენგან სამუშაოს, თუ ჩვენისავე ხელით თავი უნდა მოვიკლათო“. მოწვეულ იქმნა პოლიციის ბოქაული. ზოგიერთი ხმოსანი გამოვიდა ზალიდან მუშების გამოსაკითხავად. ბოქაული ბრიყვულად გაერია ლაპარაკში და ხმოსნებს ხელიც ჰკრა. ამით პროტესტი გამოაცხადეს, ამ სახლის პატრონები ჩვენა ვართ და არა პოლიციაო. ამის შემდეგ მუშათა დეპუტაცია დაიშალა.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 თებერვალი

**ოდესსა.** საგარეო ვაჭრობის ბანკის რუსულ განყოფილების ხელ-ახლა გაჩხრეკის დროს ზოგიერთ მაგიდებში აღმოაჩინეს 1000 პატრონი, გატენილი რევოლვერები, მაუზერები და სხვა ასაფეთქებელი მასალა.

რადგან სტუდენტებმა, საექიმო ფაკულტეტის მდივანს და სეკრეტარს, პროფესორებს ლევაშოვს და მანკოვსკის, ბოიკოტი გამოუცხადეს, სამივემ (?) ლექციების კითხვა აღკვეთა. ლევაშოვი და მანკოვსკი მემარჯვენე პროფესორებმა აირჩიეს.

**დერბენტი.** სოფ. ხუჩნის მცხოვრებლებმა მოჰკლეს ავაზაკი ბაბა, რომელიც თეჯზის მრეწველებს თავზარსა სცემდა. მოკლულს უნახეს 22,000 მანეთი წანართმევი ფული.

**მოსკოვი.** მოკავშირე მესტამბეებმა, თანახმად დადგენილებისა, მუშებს ანგარიში გაუსწორეს. იმ გაზეთის პატრონებს, რომელნიც ამ სტამბებში იბეჭდებოდნენ, მუშათა კავშირმა, სამი დღის ვადა მისცა ისეთ სტამბების მოსაძებნელად, რომელნიც კავშირში არ შედიან.

**ბერლინი.** პოლონეთის ფრაქცია რეიხსტაგს შეეკითხა იმის თაობაზე, თუ რად დაითხოვეს ზოგიერთი მოსწავლენი სასწავლებლიდან მხოლოდ იმისთვის, რომ მათი ძმები გაფიცულნი იყვნენ და მამები გაფიცვის სასარგებლოდ აგიტაციას ეწეოდნენ.

ჰმარცხენეებმა და ლიბერალებმა რეიხსტაგში წინადადება შეიტანეს, რომ საარჩევნო ოლქები ხელ ახლა იქმნას განსაზღვრული, რადგან 1868 წლიდან მცხოვრებნი გადასახლ-გადმოსახლდნენ. თხოულობენ აგრეთვე, რომ არჩევნები კვირა დღეებშიაც მოხდეს ხოლმე.

**ლონდონი.** „ტაიმსი“ ურჩევს შაჰს: ყოველი ზომა იხმაროს მშვიდობიანობის დასაცველად, რაც შესაძლებელია მხოლოდ ნამდვილ კონსტიტუციის განმტკიცებით. გაზეთი აფრთხილებს შაჰს, გარეშე სახელმწიფოები სპარსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის ჩასაქრობად თითსაც არ გაანძრევენო. ყველა დიდი სახელმწიფო, რომელიც-კი სპარსეთით დაინტერესებულია, გულწრფელად ეტრფის სპარსეთის ბედნიერებას. ყოველ შემთხვევაში ისინი დაინტერესებულნი არიან შექმნან სპარსეთში ძლიერი მთავრობა, რომელიც უნდა განაგებდეს ქვეყანას კანონით და სიმართლით.

**სოფია.** ჩვენებს ჩამორთმევის დროს პეტკოვის მკვლელმა განაცხადა: მე ალექსანდრე მქვიან, გვარად პეტროვი ვარ ვიდინიდანაო. მკვლელობის მიზეზი არ დაასახელა. სთქვა, დამნაშავე არა ვარ, პეტკოვი მოვკალი ხალხის სახელით, რომ ბოლგარეთი გამენთავისუფლებინაო; თანამოაზრე არავინა მყოლიაო. მოავრობის ცნობით მკვლელს ამხანაგებიც ჰყოლია, რომელნიც გაქცეულან. პეტროვი სამეურნეო ბანკიდან დაითხოვეს, რადგან უფროსს მოქმედებით შეურაცხყოფა მიაყენა.

**იალტა.** პოლკოვნიკი დუმბაძე და კაპიტანი საპსაი მასანდრიდან ლივადიაში ეტლით მიდიოდნენ. ლივადიის გზატკეცილზე. ნოვიკოვის აგარაკის დერეფნიდან, ვ ლამაც ყუმბარა გადააგდო. ამავე დროს მეორე მხრიდან რევოლვერი გავარდა დუმბაძე ეტლიდან გადმოხტა. იგი მსუბუქად დაიკაწრა რამდენსამე ალაგას, სხვათა შორის, ყურის შიგნით ბარაბანი დაუშავდა. საპსაი ფეხში დაიჭრა, მეეტლე კისერსა, მკერდსა და ფეხებში. იტალი დაიმტვრა, ცხენები ძლიერ დაშავდნენ. იმ ადგილს სასწრაფოდ ბატალიონი მივიდა. ყუმბარის მსროლელმა თავი მოიკლა. მისი თანამოაზრე გაიქცა. მას ბოქაულის თანაშემწისთვის უნდოდა ესროლა. სახლი იწვის. ისმის დამწვარ სახლში პატრონები როგორა სკდება. ამავე დროს სიმფეროპოლის გზატკეცილზე დრაგუნთა რაზმმა დაიჭირა იუბკა გადაცმული კაცი, რომელსაც რევოლვერი აღმოაჩნდა. გამოძიებას შეუდგა პროკურორის ამხანაგი.

**პარიზი.** პალატაში დიდის კამათის შემდეგ ჟორესმა მორიგ საქმეებზე გადასასვლელად შემდეგი ფორმულა შეიტანა: „მიმაჩნია რა ჯარის მოწვევა სამუშაოდ გაფიცულ მუშების ნაცვლად გაფიცვის თავისუფლების შესაზღუდავად, პალატა მორიგ საქმეებზე გადადის“. ეს ფორმულა უმრავლესობამ არ მიიღო. პალატამ 378 ხმით 68 ხმის წინააღმდეგ მიიღო მთავრობის მიერ მოწონებული ფორმულა: „პალატამ მოიწონა მთავრობის განცხადება, უარ-ჰყო ყოველივე დამატება და მორიგ საქმეებზე გადადის“.

**პეტერბურგი.** საერო განათლების სამინისტროში მინისტრის თავმჯდომარეობით მოხდა კრება საოსტატო ინსტიტუტის დირექტორებისა და თითო არჩეულ მასწავლებლებისა. კრებამ უნდა გამოიკვლიოს საჭიროებანი სამოსწავლებლო ინსტიტუტისა, სემინარიებისა და აგრეთვე ის, თუ რა ცვლილებაა მოხდენაა საჭირო ამ სასწავლებლების ცხოვრებისა და პროგრამებში. სამინისტროს აზრი და აქვს, ახლო მომავალში შეუდგეს ინსტიტუტის რეფორმას, ეს მით უფრო საჭიროა, რომ განზრახულია პირველდ წყებითი საყოველთაო სწავლის შემოღება.

პეტერბურგის უნივერსიტეტის საბჭომ შეიმუშავა მოწოდება სტუდენტებისადმი. საბჭო სთხოვს სტუდენტობას: გარეშე პირთა დასწრებით ნუ მართავთ კრებებს უნივერსიტეტში, თორემ ამას უნივერსიტეტისთვის დამღუპველი შედეგი ექნებაო.

**პეტერბურგი.** სასამართლო პალატამ ინჟენერ-ტექნოლოგ რუტენბერგის ცოლს, „საყოველთაო ბიბლიოთეკა“-ს გამომცემელს, ერთი წლით ციხე მიუსაჯა „იდის საფრანგეთის რევოლიუციის“ გამოცემისათვის, ხოლო შიშკოვს, „რუსეთის ისტორიის“ გადაბეჭდვისათვის.

**მოსკოვი.** გათენებისას მოჰკლეს პოლიციელი გარიჩი. ოთხ ახალგაზრდა კაცს დანაშაულის ჩადენის დროს მოასწრეს და დაიჭირეს. იმათ განაცხადეს: ანარქისტები ვართ და გადაწყვეტილი გვაქვს პოლიციელებისთვის იარაღის წართმევაო. მართლაც პოლიციელის იაკიმანსკისთვის მოედანზე იარაღი წაერთმიათ. იქიდან გაქცეულის ვასილიევთ მოედანზე რევოლვერით პოლიციელი გარიჩი მოუკლავთ. დაპატიმრებულნი აღმოჩნდნენ: უნივერსიტეტის სტუდენტები ნოვიცკი და ჩებოტარევი, სატეხნოლოგო ინსტიტუტის სტუდენტი ბეზრადეცკი და ციმბირიდან გამოქცეული ბრიანსკის გზის ტელეგრაფ სტაროვრიანიკოვი. დაპატიმრების წინ ისინი თოვლში დაიმალნენ და იქიდან 30 ჯერ ესროლეს პოლიციას. იმათ საველე სამართალში აძლევენ.

**პარიზი.** ღამე გარდაიცვალა პრეზიდენტად ნამყოფი კაზიმირ პერიე. პერიეს შვილმა კლემანსოს უარი უთხრა მამის სახელმწიფოს ხარჯზე გასვენებაზე. პერიეს ანდერძი დაუტოვებია, უცერემონიოთ დამმარხეთო.

**სოფია.** პეტკოვის მოკვლის გამო დააპატიმრეს „ლოკანსკი ტრიბუნი“-ს რედაქტორი იკონომოვი. იკონომოვი ბოლო დროს თავის გაზეთში მთავრობას და მთავარს ძლიერ ჰკიცხავდა.

**სევასტოპოლი.** საზღვაო სასამართლომ ხელ-მეორედ გაარჩია ადმირალ ჩუხნინის მოკვლის საქმე. მატროსი ბონდარენკო და გლეხი შატენკო ხელ-ახლა დამნაშავედ იცნო და 15 წლით კატორგა მიუსაჯა.

**სამარა.** ბეჭდვითი საქმის კავშირის 20 წევრი შეიკრა „ვოლსკი სლოვო“-ს კანტორაში. კარები და ტელეფონი დაიჭირეს და ამ ნლად სცემეს შიგ მყოფ ორ ისოთ-ამწყობს. გაზეთის თანამშრომლები „გოროდსკი ვესტნიკ“-ში ამ ამბის თაობაზე თავიანთ აღშფოთებას აცხადებენ.

**იალტა.** პოლკოვნიკი გუშინ კარგად იყო და განკარგულებასაც იძლეოდა; დღის კი ცუდად არის. დაკაწრულ ტანიდან ყუმბარის ნატეხებს იღებენ. ყურებიდან ჩირქი მოსდის. ამბობენ, ტვინი შერყეული და სხეული მოწამლული უნდა ჰქონდესო. „რუსის ხალხის კავშირ“-მა საკრებულო ტაძარში პარაკლისი გადაიხადა და დუმბაძეს დეპუტაცია გაუგზავნა. თანაგრძნობის წერილებიც მიიღო. დაიჭირეს ერთი ქალი, რომელსაც ყუმბარის სროლაში მონაწილეობის მიღებას აბრალებენ. მსროლელმა (რომელიც უკვე მოკვდა) რევოლვერი არტილერიის აფიცრის ლევანდოვსკის სახლიდან ისროლა. აფიცრის სახლში ორი სხვა ახლად გასროლილი რევოლვერი იპოვნეს. ლევანდოვსკი, სევასტოპოლის კომენდანტის განკარგულებით, იალტიდან გააძევეს. მცხოვრები ქალი დააპატიმრეს.

**სოფია.** როგორც ამბობენ, მინისტრ-პრეზიდენტის მოკვლა მთელის ჯგუფის მოფიქრებული საქმეა. პეტროვს წილად ერგო პეტკოვის მოკვლა.

**ტულონი.** ჯავშნოსან „იენა“-ზე აფეთქა თოფის წამლის საწყობი. 300 კაცამდე დაიღუპა. არსენალის სახელოსნოებს ცეცხლი ეკიდება. ჯავშნოსანი გარედან სა მაღლ შეიტრუსა. ბევრი აფიცერი ცოცხლად დაიწვა. მატროსთა უმრავლესობა უბედურების დროს მიჩვენების სადგომში იყო. იმათ იქ ისტორიულ ლექციას უკითხავდნენ ჰენრიხ მეოთხეზე. როცა უეცრად მეხივით იჭექა, მატროსები გამოცვივდნენ და კიბის შემწეობით ჰუზის განაპირას ამოეფარნენ და გადარჩნენ. ადამიანების გადარჩენის დროს ბევრმა გმირობა ჩაიდინა. დაიჭრა ადმირალი მანსეროში. ადმირალი ბრენემე უბედურობას იმითა ხსნის, რომ თოფ-წამალი თავისით აფეთქდაო. „იენა“ ფლოტის საუკეთესო ჯავშნოსანი იყო.

რედაქტორ-გამომცემელი **ივ. ი. მჭედლიშვილი.**

# განცხადებანი


## ამზადებს ბავშვებს

საშუალო სასწავლებლების პირველ ოთხ კლასში **ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის** უფროსი კლასის მოწაფე.

ადრესი: მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ გაზეთ „ისრის“ რედაქციაში, ან თვით ბინაზე: Минквицевскя, № 21 (1—5 საათამდის). (3—567—1)

## გამოვიდა

**ექიმ ბადრიძის წიგნი: „ადამიანის სხეული ბრძოლაში არსებობისათვის.**

ქუთაისი, კილაძის სტამბა, ფასი 15 კაპეიკი. (10—კვ.—5)

პირველი ქერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1890 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეების გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ., ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტიზიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გმელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შმერლინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**გ. ი. გმელიშვილი** 6½—7½.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—33)

საზოგადოების

## საყურადღებოდ

**ვისაც უნდა** დააწერინოს არზა, თხოვნა, საჩივარი სასამართლოებში მისართმევად, შვილების სახელმწიფო ხარჯზე სკოლებში მისაღებად; **ვისაც უნდა** სალდათობის საქმეზედ თხოვნის შედგენა; **ვისაც უნდა** საჩივარი ან თხოვნა მისცეს ნამესტნიკს, გუბერნატორს; **ვისაც უნდა** თხოვნა მიართვას ხელმწიფეს ანუ მინისტრებს, **ვისაც უნდა გაეყაროს მეუღლეს—იმათ უნდა მიმართონ** ავლაბარში, ნუხისა და შემახის ქუჩების კუთხეში, საკუთარ სახლში **თ. ფ. ნასიძეს.**

მთხოვნელები მიიღებიან დილით 10—12 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე.

**ხელფასი ზომიერია.** (3—უ.—3)

დაიკარგა ხელოვნური

## კბილები

ვთხოვ მპოვნელს მიუტანოს „ვერსალის“ სასტუმროში დ. ლ. ა—ს. მპოვნელი კარგ ჯილდოს მიიღებს. (1—ფალ.—1)

## კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრეიხერისა

**გადავიდა** ერევნის მოედანზე (პუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნურ კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო აპერაციებსაც აკეთებენ. (100—78



## ფეხსაცმელი

პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.

**რანტიანი:** პარიზისა (მოგრძო) და ამერიკის ფასონებისა.

**იყიდება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის მაღაზიებში.**

რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად ალიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)

ნარდათ შეკეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს

**სავაჭრო სახლი**

## „ლეოპოლდ ნეიშელლერი“

ტელეფონი № 346, **ტფილისში,** ერევნის მოედანი,

**რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი**

**ტყავის საქონელი** რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული. (100—4)